



12039/3-81/21 2 10122021

12039/3-81/21

10-12-2021

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს,

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, სამინისტროს მხრიდან ბოლო ორი წლის განმავლობაში რა ნაბიჯები გადაიდგა:

ა. განათლების სისტემაში კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებული უფლებების უზრუნველსაყოფად, გთხოვთ ცალკე გამოჰყოთ კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების უზრუნველსაყოფად გაწეული საქმიანობა.


ბ. რა როლი აქვს საგანმანათლებლო სისტემას, განსაკუთრებით სკოლებს, საზოგადოებაში კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებული უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მათდამი პატივისცემის ხელშეწყობის კუთხით და რა ნაბიჯებს დგამთ ამ მიმართულებით. გთხოვთ, ცალკე გამოჰყოთ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით გადადგმული ნაბიჯები.

გ. რა როლი აქვს საგანმანათლებლო სისტემას, განსაკუთრებით სკოლებს, ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების პრევენციის მიმართულებით? რა ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით ბოლო ორი წლის განმავლობაში?

დ. იმ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებთანაც თანამშრომლობთ ზემოაღნიშნული მიზნებით და მათთან განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 0 21 0001437638

30/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 10 დეკემბრის N12039/3-81/21 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N1354821; 13.12.2021) პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უპირველესი ამოცანაა შეუქმნას ახალგაზრდებს ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, დაიცვას მათი ფუნდამენტური - განათლების მიღების უფლება. განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

აქვე გაცნობებთ, რომ "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დოკუმენტის ამოსავალი პრინციპებია ტოლერანტობა და თანასწორობა და ამავე პრინციპებზე დაყრდნობითაა აგებული ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც სავალდებულო ჩარჩო დოკუმენტია ყველა სკოლისთვის (საჯარო და კერძო) და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის, რომლებიც შეიმუშავენ და ახორციელებენ ზოგადი განათლების სისტემასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს, მიზნობრივ პროგრამებსა და აქტივობებს. მოსწავლისთვის და მთლიანად სასკოლო საზოგადოებისთვის ყველაზე ახლოსმდგომი და ხელშესახები პროდუქტია - სასკოლო სახელმძღვანელოები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია სასკოლო სახელმძღვანელოს რეგენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმები, სადაც (გარდა შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური გამართულობის შესაფასებელი კრიტერიუმებისა) ცალკე პუნქტებად გათვალისწინებულია კონკრეტული მოთხოვნები, რითაც ხორციელდება სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასება (გრიფირება) თანასწორობის დაცვის, დისკრიმინაციის და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვის, ძალადობისაკენ მოწოდების ან შუღლის გაღვივების აკრძალვის კუთხით, ასევე, საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის

ჭრილში. ასევე საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცული უნდა იყოს თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვა ნიშნით (შინაარსობრივი კრიტერიუმების მე-6 ბლოკი). აღნიშნული კრიტერიუმებით სახელმძღვანელოს შეფასებისას ხელმძღვანელობს "სხვა სპეციალისტის" სტატუსით მყოფი რეცენზენტი, რომელიც ყოველ წელს წარმოდგენილია სახალხო დამცველის ოფისის მიერ. სხვა სპეციალისტები ამ კრიტერიუმებით აფასებენ საკონკურსოდ წარმოდგენილ ყველა სახელმძღვანელოს და მათი შეფასება გათვალისწინებულია გრიფის მინიჭებისას. დამატებით, ორგანიზაცია ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტთან (TDI) ჩვენი თანამშრომლობით, მოხდა უკვე გრიფირებული მე-7 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოების გადასინჯვა დისკრედიტაციული და დისკრიმინაციული ელემენტების გამორიცხვის მიზნით. მათ მიერ მოწოდებული შენიშვნებისა და კომენტარების საფუძველზე სახელმძღვანელოების ავტორებთან შეთანხმებით დაკორექტირდა, გასწორდა ან ამოღებულ იქნა გარკვეული ტერმინები, ფრაზები და ტექსტები.

2021 წელს დაიწყო მუშაობა გაეროს მოსახლეობის ფონდთან სქესობრივი განათლების საკითხების შეტანაზე I-VI კლასებში. კერძოდ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ხარდაჭერით, ორგანიზაცია "თანადგომას" ექსპერტებთან ერთად ჯანმრთელობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე შემუშავდა ერთიანი კურსი და დაწყებით საფეხურზე ე.წ. „ექიმის საათის“ ფარგლებში განხორციელდა ამ საკითხების პილოტირება თბილისის 6 საჯარო სკოლაში. პილოტირების ფარგლებში გადამზადდნენ სკოლის ექიმები და დამრიგებლები. სასწავლო თემატიკა შეეხება შემდეგ საკითხებს: სხეულის ნაწილები და პირადი ჰიგიენა, ვარჯიში, კვების რეჟიმი, ურთიერთობები სკოლაში, ვინ არის მეგობარი, ნაცნობი, უცნობი - როგორ ვიქცევით უცხო პირთან ურთიერთობისას; პირადი სივრცის დაცვა (მაგ. რა რის პირადი სივრცე, როგორ აღვკვეთო ცუდი შეხება); კარგი და ცუდი საიდუმლო; მოულოდნელი სიტუაციები (როგორ ვიქცევით, როცა კარზე ზარია და სახლში მარტო ვართ; როცა უცნობი საჩუქარს გვთავაზობს და გაყოლას გვთხოვს და ა.შ.), რა არის ძალადობა, სად შეიძლება მოხდეს ძალადობა, რა შედეგები შეიძლება მოყვეს მას; რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ინტერნეტ-სივრცით სარგებლობა, როგორ დავიცვათ ჩვენი უსაფრთხოება ინტერნეტით სარგებლობისას; გენდერული თანასწორობა (სტერეოტიპები და სხვა); მზაობა გარდატეხის ასაკისთვის, ცვლილებები; მავნე ჩვევები და სხვა. საკითხები შერჩეულია UNESCO-ს სტანდარტის მიხედვით და ამ ეტაპზე მიმდინარეობს პილოტირების შედეგების გაანალიზება და ექიმებისთვის მომზადებული ტრენინგ-მოდულისა და გზამკვლევის სრულყოფა. გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილია კიდევ ერთი პილოტირება, ხოლო სექტემბრიდან დაიწყება "ექიმის საათის" ეტაპობრივად დანერგვა საჯარო სკოლებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ადრეული ქორწინების პრევენციისთვის მოქმედ ეროვნული სასწავლო გეგმაში, საბაზო საფეხურის „ბიოლოგიის“ სტანდარტში გათვალისწინებულია თემა: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს შემდეგი საკითხების შესწავლას: ნაადრევ ქორწინებასთან/ორსულობასთან დაკავშირებული რისკები. სტანდარტის მიხედვით, მოსწავლემ უნდა შეძლოს ადრეულ სქესობრივ კავშირთან, ნაადრევ ქორწინებასა და ორსულობასთან დაკავშირებული რისკების გაანალიზება, მათ გამომწვევ მიზეზებსა და პრევენციაზე მსჯელობა; მკვიდრი წარმოდგენა, რაზეც მოსწავლემ უნდა იმსჯელოს: ნაადრევმა ქორწინებამ/ორსულობამ/სქესობრივმა ურთიერთობამ სამედიცინო და სოციალური ხასიათის პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს; რა პრობლემები შეიძლება მოჰყვეს ნაადრევ ქორწინებას/ადრეულ ორსულობას?

გენდერული თანასწორობის, ძალადობის პრევენციის და უსაფრთხოების ასპექტები, მათ შორის, ადრეული ქორწინების პრევენციასთან დაკავშირებული საკითხები ისწავლება ასევე საგანში „მოქალაქეობა“. სასწავლო თემაში: ჯანსაღი ცხოვრება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: საკანონმდებლო დოკუმენტებზე დაყრდნობით იმის გაანალიზება, თუ რა შეიძლება გახდეს ჯანმრთელობისა და განათლების უფლების დარღვევის საფუძველი (ადრეულ ასაკში ქორწინება, არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაცია). ერთ-ერთი საკვანძო შეკითხვაა: რატომ არის ადრეულ ასაკში ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევა? რატომ უშლის იგი ხელს მის საზოგადოებაში თვითდამკვიდრებას? მკვიდრი წარმოდგენა, რაზეც მოსწავლემ უნდა იმსჯელოს: ადრეულ ასაკში ქორწინება ხელს უშლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას, იგი ხშირად წარმოადგენს ადამიანის უფლებათა (რეპროდუქციული ჯანმრთელობის, განათლების და სხვ.) დარღვევის საფუძველს.

საქართველოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიური ენისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით უზრუნველყოფილია მშობლიური ენის სწავლება: ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი.

2020-2021 წლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების ხელშეწყობისთვის მომზადდა და დამტკიცების პროცესშია სენსორული სასწავლო გეგმა განვითარების შეფერხების მქონე მოსწავლეთათვის, გაფართოებული სასწავლო გეგმა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის, დაწვეისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმი სავალდებულო განათლების მიღმა დარჩენილი პირებისთვის.

მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებასთან და ორგანიზაციასთან ერთობლივი პროექტების განხორციელებით. ორგანიზაცია PH International-ი, 2017 წლიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს შინაგან სამინისტროსთან თანამშრომლობით ახორციელებს “სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობის” პროგრამას, რომლის მიზანია მოზარდებს შორის დანაშაულის შემცირება და მოზარდების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა სამართლებრივი კულტურის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა: ბავშვთა უფლებები, არასრულწლოვანი და კანონი, კიბერდანაშაული, გამოძიება და სხვა. პროექტის ფარგლებში გადამზადდა სამოქალაქო განათლების პედაგოგები და სკოლებში ჩატარდა “სამართლებრივი კულტურის” გაკვეთილები, ასევე საინფორმაციო შეხვედრები სამართლებრივი დარგის ექსპერტებთან. 2022 წელს პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია “სამართლებრივი კულტურის” ონლაინ სასწავლო რესურსის დანერგვა.

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის, ადრეული ქორწინების შემთხვევების იდენტიფიცირება და საჭიროებისამებრ, რეფერირება სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში ან/და სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში შეტყობინების განხორციელება. მომართვის შესაბამისად, სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების

ცენტრი მომსახურებას უწევს ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე მოსწავლეებს, მათ შორის ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს.

ოჯახში ძალადობის საკითხებზე, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში რეფერირების პროცედურების შესახებ, გადამზადებული და ინფორმირებულია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ყველა მოქმედი მანდატური, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და ფსიქიატრი.

რაც შეეხება პრევენციულ ნაწილს, აღნიშნულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, მანდატურის სამსახური ახორციელებს სხვადასხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქტოვობებს. კერძოდ:

- 2019 წლიდან, მანდატურის სამსახური ახორციელებს ძალადობისა და ნივთიერებათა ავადმომხმარების პრევენციის პროგრამას საპილოტედ, საქართველოს 11 საჯარო სკოლაში. საპილოტე პროექტი მიზნად ისახავს სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებას და მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. პროგრამა მოიცავს ბულინგის, კიბერბულინგის, ტექნოდამოკიდებულების და მოსწავლეებში ნივთიერებათა ავადმომხმარების პრევენციის საკითხებს, ასევე, სასკოლო ცხოვრებაში თანაბარი შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფას ყველა ბავშვისთვის, საკლასო გარემოს მართვის უნარ-ჩვევების გაძლიერებას და კრიზისული სიტუაციების მართვაზე ორიენტირებულ მუშაობას. საპილოტე პროექტის მიმდინარეობისას, განხორციელდა სკოლის ძლიერი და გასაძლიერებელი მხარეების იდენტიფიკაცია. მომზადდა ძალადობის (მათ შორის, ბულინგის, კიბერბულინგის) და სარისკო ქცევების იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მოდული. შემუშავდა თანასწორგანმანათლებელთა სახელმძღვანელო ბულინგის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის, ასევე, საკლასო წესებისა და ფასეულობების შემუშავების სისტემა. დაიწყო დისციპლინირების ეფექტიანი ზომების დანერგვაზე მუშაობა. ინტერვენციის ფარგლებში წლის განმავლობაში არაერთ საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო აქტოვობაში ჩაერთო ასეულობით მოსწავლე, მშობელი და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი.
- შემუშავდა სკოლებში სოციალური მუშაობის კონცეფცია და 2021 წელს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა საჯარო სკოლებში აქტიურად დაიწყო სოციალური მუშაობის განხორციელება. მომზადდა მოსწავლის მოწყვლადობის იდენტიფიცირების ინსტრუმენტი.
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, 2019 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოსთან პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში. ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისთვის შეიქმნა ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამა, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, ტოლერანტობის, მრავალფეროვნების და არადისკრიმინაციული მიდგომის შესახებ ადამიანის უფლებათა ჭრილში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების ცნობიერების ამაღლება, ხოლო მეორე

მხრივ, ხელი შეუწყოს სამსახურს, ადამიანის უფლებების ირგვლივ საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების ეფექტურად დაგეგმვასა და განხორციელებაში. 2020 - 2021 წლებში აღნიშნული პროგრამით ტრენერებად გადამზადდა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების 39 თანამშრომელი, რომლებმაც 2021 წელს 260 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური გადამზადეს ადამიანის უფლებების, დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების საკითხებზე. ასევე, 150-ზე მეტი შეხვედრა გაიმართა საჯარო სკოლების მოსწავლეებთან აღნიშნულ საკითხებზე.

- 2021 წლის განმავლობაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა, ძალადობისა და კიბერბულინგის თემაზე საინფორმაციო ხასიათის 6408 შეხვედრა ჩაატარეს VII-XII კლასის მოსწავლეებთან.
- მიმდინარე წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის „ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ პროექტის ფარგლებში, მანდატურის სამსახურისთვის შეიქმნა ტრენინგ მოდული: „გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში: ძალადობა გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა“, რომლითაც ტრენერებად გადამზადდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები. მიღებულ ცოდნას ისინი სამომავლოდ სასკოლო ცხოვრებაში ჩართულ სხვა პირებს გაუზიარებენ.
- მანდატურის სამსახური შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ არასრულწლოვანთა ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ გამართულ საინფორმაციო კამპანიას „ნუ წაართმევ ბავშვობას“. მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ შეხვედრებში. მათ მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია ადრეული ქორწინების ნეგატიური გავლენის, რისკებისა და საფრთხეების შესახებ.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და UN WOMEN-ის ერთობლივ თანამშრომლობით შემუშავდა 2 ტრენინგმოდული „გენდერული თანასწორობა“ მასწავლებლებისა და მანდატურებისათვის. ტრენინგ-მოდულები მოიცავს გენდერის საკითხებს, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობას, ოჯახში ძალადობას, დისკრიმინაციას, სქესის ნიშნით მემკვიდრეობაზე დისკრიმინაციას, 18 წლამდე ბავშვთა ქორწინებას, ფემიციდს, ქალთა მიმართ საერთაშორისო და ადგილობრივი ინსტრუმენტების გაცნობას, **ს ა კ ა ნ ო მ დ ე ბ ლ ო ბ ა ზ ა ს და ს ხ ვ .** ტრენინგ-მოდულები განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა საგნის მასწავლებლებისა და ასევე მანდატურებისთვის. ორივე მოდული არის 2-2 დღიანი, თითოეული - დღეში 6 საათი, გათვალისწინებულია, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ ფორმატისთვის. თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შემდეგ მოდულებში: სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა (ყველა საგნის მასწავლებლებისთვის); ზოგადი კურსი სამოქალაქო განათლებაში (პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის); სამოქალაქო განათლების ზოგადი კურსი მაძიებელი მასწავლებლებისთვის EDx პლათფორმაზე; ზოგადი კურსი სამოქალაქო განათლებაში (ეროვნული სკოლის პროგრამის მსმენელებისთვის); სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები მასწავლებლებისთვის RDx პლატფორმაზე.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და “ასოციაცია ჰერა ოცდაერთი” შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ UNESCO ტექნიკური სახელმძღვანელოს სტანდარტებით შემუშავებული დამხმარე რესურს პაკეტის ადაპტირება ადგილობრივი კონტექსტისა და საჭიროებების გათვალისწინებით; ამავე მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების სწავლების ონლაინ ტრენინგ მოდულის შემუშავება, რომელიც შეთავაზებული იქნება საბაზო-საშუალო საფეხურზე სამოქალაქო განათლებისა და ბიოლოგიის მასწავლებლებისათვის, ხოლო დაწყებით საფეხურზე - ბუნებისმეტყველების მასწავლებლებისათვის. ამასთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად არის ჩართული ევროპის საბჭოს „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს“ დანერგვის პროცესში. ამჟამად მიმდინარეობს სასკოლო პროექტებზე მუშაობა და წარდგენა ევროპის საბჭოს დემოკრატიული სკოლების ქსელის პლატფორმისთვის, რომელიც ემსახურება დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს დანერგვას. ამ ეტაპზე საქართველოს 19 საჯარო სკოლა შეუერთდა აღნიშნულ საერთაშორისო ქსელს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლობით, შემუშავდა ადამიანის უფლებების სწავლების 5 კვირიანი კურსი. მიმდინარეობს მუშაობა კურსის EDX - ის ონლაინპლატფორმაზე განსათავსებლად.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებული, თანასწორობის უფლების უზრუნველყოფის საკითხი გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-6 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ასევე, სკოლას უნდა ჰქონდეს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

ამასთან, დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. ავტორიზებული და ავტორიზაციის მაძიებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ფასდებიან აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, რომ პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში არაერთი ცვლილება განხორციელდა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის, ხარისხის გაუმჯობესების, ინკლუზიური და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სისტემის განვითარების მიმართულებებით. 2019-2021 წლებში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და/ან შემუშავდა სტრატეგიული და მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის ქალებისთვის, ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას. კერძოდ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ევროკავშირის

მხარდაჭერით შეიმუშავა საქართველოს პროფესიული განათლების 2021-2025 წლების სტრატეგიის პროექტი, რომელის მიზანიც არის ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფის გზით ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას, ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, უმუშევრობის შემცირებას, ღირსეულ დასაქმებას, ინოვაციისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, “მწვანე” ტრანსფორმაციას, სოციალურ ჩართულობასა და მოსახლეობის კეთილდღეობას. პროფესიული განათლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას - გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლას: სისტემაში შესვლის, სწავლის, კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში, რომლის საფუძველზეც მოხდება გენდერული მექანიზმების იდენტიფიცირება და დანერგვა.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში შემუშავდა განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის პროექტი. სტრატეგია უზრუნველყოფს ფორმალური განათლების სფეროში კარიერის მართვის ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე, საკუთარი რესურსების სრულად რეალიზების თანაბარი შესაძლებლობის შექმნაზე. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის დოკუმენტში ყურადღებაა გამახვილებული პროფესიული ორიენტაციის და/ან დასაქმების ხელშეწყობის სერვისების განვითარებისას გენდერული ასპექტების გათვალისწინების მნიშვნელოვნებაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2021 წლიდან დაიწყო მუშაობა პროფესიული განათლების მხარდასაჭერად პროფესიულ სტუდენტთა სოციალური სერვისების განვითარების მიმართულებით. აღნიშნული სერვისების მიმღებ ბენეფიციართა შორის გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები, ასევე გათვალისწინებული იქნება სტიპენდიის მიმღებ სოციალურ ჯგუფებში ქალ პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები. 2021 წელს დასრულდება მუშაობა სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავებაზე, ხოლო 2022 წლიდან შესაძლებელი გახდება მხარდამჭერი სტიპენდიების უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა, როგორცაა: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სასწავლო პროცესის ასისტენტის, ინდივიდუალური ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის, ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტის მომსახურება, ადაპტირებული სასწავლო მასალა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ტრანსპორტირება და სხვა. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები; ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, 2016 წლიდან პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების გავლა შესაძლებელია სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. პროფესიული განათლების სისტემა უზრუნველყოფს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებას და შესაძლებლობების განვითარების მიზნით სთავაზობს მათზე მორგებულ პროგრამებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროფესიული პროგრამების მიმართულებით გენდერული სტერეოტიპების დაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2017 წლიდან „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ დანერგვის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების მე-8-9 კლასების მოსწავლეებს,

მიუხედავად სქესისა, შესაძლებლობა აქვთ გაიარონ სხვადასხვა პროფესიული კურსები და მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა პროფესიაში, ხოლო მე-10-12 კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ სასერტიფიკატო კურსები, რაც მიზნად ისახავს არამარტო პროფესიის გაცნობას (საორიენტაციო კურსებისგან განსხვავებით), არამედ პროფესიის ვიწრო მიმართულებისა თუ სპეციალიზაციის საფუძვლიან შესწავლას.

2020 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) ინიციატივით დაიწყო სამოქალაქო განათლების მოდულის შეფასება, დახვეწა და განვითარება. აღსანიშნავია, რომ ჩატარებული სამუშაოების შედეგად შემუშავებულ ახალ მოდულში უფრო მეტი აქცენტი კეთდება დემოკრატიული ღირებულებების არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ მათ გააზრებაზე, გაანალიზებასა და აღქმაზე.

ოჯახში ძალადობის და ადრეული ქორწინების პრევენციის მიმართულებით, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ცნობიერების გაზრდის კუთხით, ხორციელდება ღონისძიებები როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ასევე სემინარებისა და ტრენინგების სახით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დეკემბერში, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის თანამშრომლები, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, ჩაერთნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებების სამდივნოს თანამშრომლების მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების რეფორმის პროცესი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი მხარდაჭერით ხორციელდება. მათ შორის გენდერის თემატიკას განსაკუთრებით დიდი ყურადღება აქვს დათმობილი 2021 წელს, აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით დაწყებული პროექტის "უკეთესი უნარები უკეთესი დასაქმებისთვის" ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების ინსტიტუციურ განვითარებას. პროექტის ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა საჯაროს სკოლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარება, მათი რეგიონალურ ჰაბებად ჩამოყალიბება მართვის თანამედროვე სისტემების გამოყენებით. აღნიშნული პროექტის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს პროფესიული განათლების საფეხურზე გენდერული პოლიტიკის განვითარება წარმოადგენს. შესაბამისად, პროექტის თითოეულ აქტივობაში გამჭოლად არის წარმოდგენილი გენდერის საკითხები და აღნიშნული კუთხით პოლიტიკის განვითარება. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით პროექტი მიზნად ისახავს: (1) ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში ქალი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ზრდას, (2) ქალი პროფესიული კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობას, (3) გენდერული თანასწორობის კომპეტენციების განვითარებას პროფესიული განათლების დაინტერესებულ მხარეებში, (4) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტში ქალების ჩართულობის ხელშეწყობას; (5) ქალ პროფესიულ მასწავლებლებში ლიდერობის უნარების განვითარებას; (6) ქალების ჩართულობის ხელშეწყობას ე.წ. არატრადიულ სფეროებში, როგორცაა მაგალითად ინჟინერია და ინფორმაციის ტექნოლოგიები; (7) დარგობრივი უნარების ორგანიზაციებში ქალების ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობას.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის ხელმოწერილი საფინანსო შეთანხმების „ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა“ (Skills Development and Matching for Labour Market Needs) ტექნიკური დახმარების ფარგლებში დაგეგმილია პროფესიული განათლების სტრატეგიის გენდერული მეინსტრიმინგი. აღსანიშნავია, პროფესიულ განათლებაში ლოგისტიკისა და სამშენებლო მიმართულებებზე ქალების მოზიდვისა და მონაწილეობის ხელშეწყობა გათვალისწინებულია გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული პროექტის "ექსელენს ცენტრი" ფარგლებში. გარდა ამისა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) “დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის” პროექტის ფარგლებში კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი სამიზნე ჯგუფების ჩართულობა - ახალგაზრდები, ქალები, სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ეთნიკური უმცირესობები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების, ჩართულობის უზრუნველყოფა.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების ფარგლებში ქალების შესაძლებლობების განვითარებას ისახავს მიზნად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარების ფონდის (SDC) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტები.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს თავიანთი ავტონომიურობის ფარგლებში განხორციელებული აქვთ მთელი რიგი აქტივობები ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებთან დაკავშირებით. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხები ასახულია საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, როგორც კერძო ასევე საჯარო, საგანმანათლებლო პროგრამებში, მოდულებსა და სასწავლო კურსებში.

ასევე გაცნობებთ, რომ 2013 წელს, ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის ფარგლებში, აშშ-ს მთავრობის დაფინანსებით დაარსდა სან-დიეგოს უნივერსიტეტი-საქართველო სამი წამყვანი უნივერსიტეტის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამებს STEM (ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერებები, ქიმია/ბიოქიმია) სპეციალობებზე და მის ერთ-ერთ მთავარ მისიას წარმოადგენს გენდერული ბალანსის უზრუნველყოფა აღნიშნული მიმართულებით. მოცემულ მომენტში საკმაოდ მაღალია ქალთა ჩართულობა აღნიშნულ პროგრამებში წინა წლებში არსებულ მაჩვენებელთან შედარებით - პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების 35 %-ს გოგონები შეადგენენ.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის, მათ შორის, მე-11 მუხლით გარანტირებული შესაბამისი უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, დადგენილი წესით, უზრუნველყოფილია არაქართულენოვანი ან/და სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის შესაბამის საგამოცდო პროცესებში მონაწილეობა აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ, ოსურ და აფხაზურ ენებზე ან/და ბრაილის სისტემის ან სპეციალური ელექტრონული პროგრამის გამოყენებით. ასევე განათლების სისტემაში არსებულ სასტიპენდიო პროგრამებსა და საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული ან სოციალური წარმოშობისა, დაბადების ადგილისა ან სხვა ნიშნისა.

აქვე გაცნობებთ, რომ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი წარმოადგენს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა "ჰორიზონტი 2020"-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის "CALIPER - კვლევისა და ინოვაციის დაკავშირება გენდერული თანასწორობისთვის" ბენეფიციარ ორგანიზაციას. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით გენდერული თანასწორობის მხარდაჭერას, ქალი მკვლევრების რაოდენობის ზრდას STEM მიმართულებებში, მათი კარიერული პერსპექტივების გაუმჯობესებას, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას.

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ახორციელებს პროგრამებს სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის და საჯარო მართვისა და ადმინისტრირების მიმართულებით. აღნიშნული პროგრამებით სარგებლობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული ან სოციალური წარმოშობისა, დაბადების ადგილისა ან სხვა ნიშნისა, პროგრამებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით. სკოლის ბენეფიციარებს წარმოადგენენ სხვადასხვა ეროვნების, რელიგიური მრწამსისა და სოციალური სტატუსის მქონე პირები. ამასთან გაცნობებთ, რომ სკოლის ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ეროვნული უმცირესობები, მათ შორის რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები და სკოლა სწავლებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს მათ ინტერესებს, დაკავშირებულს ჯგუფების დაკომპლექტებასთან, სასწავლო გრაფიკის შედგენასა თუ სასწავლო მასალის შერჩევასთან დაკავშირებით (მაქსიმალურად ფრთხილად არჩევს მასალებს მათი რელიგიური თუ სხვა შეხედულებების გათვალისწინებით). სკოლა მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას ბენეფიციართა უფლებები და მათი ენობრივი კომპეტენციებიდან გამომდინარე საინფორმაციო მასალასა და უკუკავშირის კითხვარებს ამზადებს მათ მშობლიურ ენაზე.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

